

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი

## ენა, თარგმანი, ლიტერატურა

თბილისი

„ენა და კულტურა“

1999

## არგო საფრანგეთის სოციალურ ისტორიაში

არგოს წარმოშობა უკავშირდება თვით საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჟარგონი ან არგო, საიდუმლო ენის მნიშვნელობით, არსებობდა ყველა დროის ყველა ქვეყანაში. ეგროპისა და აზიის ხალხებს - ჰქონდათ თავიათი ჟარგონი ან არგო - მომთაბარე ტომებიდან დაწყებული, ბოშებით და ინდოეთის ტომებით დამთავრებული. ინგლისში იგი არსებობს სლენგის სახელწოდებით, გერმანიაში მას „როტველშ“ უწოდებენ, ესპანეთში „ქსერიგონს“, პორტუგალიაში „კალაოს“, ჰოლანდიელები „ბარგოენს“, ბოშები „ჰანტირკას“, ინდოელები „ბალაიბალანს“. ჩინელები კი „ჰიანჩანს“. ამერიკაში იგი ბოშებმა შეიტანეს და ზინგარის სახელწოდებითაა ცნობილი.

საფრანგეთში იგი გვხვდება XV საუკუნის ტექსტებში. ამიტომ სწორედ ეს საუკუნე ითვლება მისი წარმოშობის დროს. ფრანგი მეცნიერი-ისტორიკოსი ვიტუ ვერდა: „ორგანიზებული ბანდები, რომლებიც ქურდობასა და მათხოვრობას ეწეოდნენ, არ არსებობდნენ წინა საუკუნეებში. ფრანგი ყმების უმეტესობა უბრუნველყოფილი იყო საკვებით.

მათი ბატონი ვალდებული იყო, უზრუნველყო იმ ადამიანების არსებობა, რომლებიც მასზე იყვნენ დამოკიდებულინი“. (პ გგ. ნ) თვით კარლოს დიდის საკანონმდებლო აქტიშიც ნათქვამი იყო: „ყოველი ადამიანი ვალდებულია იმუშაოს და თუ მას მათხოვრობის პროცესში წაუსწრებენ, აკრძალულია მისთვის მოწყალეობის გაღება. აგი უნდა ამძულო, რომ იმუშაოს. თუ მუშაობას არ მოისურვებს, მას ჩამოახრჩობენ“.

ადრე ბანდიტობა ბარონთა პრივილეგია იყო. ისინი თავიანთი სასახლეების კოშკებიდან თვალყურს ადევნებდნენ გზებს, რათა მგზავრები გაეძარცვათ. ბანდიტები, ქურდები, მათხოვრები, მკვლელები ყოველთვის არსებობდნენ საფრანგეთში და ყველა საზოგადოებაში, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ამიტომ, იმ დროს არ არსებობდა რაიმე ენა, რომელზეც ისინი ისაუბრებდნენ და რომელიც სხვებისთვის გაუგებარი იქნებოდა.

დაიწყო ასწლიანი ომი. წარმოიშვა საშიში კლასი. გლეხები, რომლებიც ჯარისკაცების მხრიდან გამუდმებით განიცდიდნენ ძარცვა-გლეჯას, აღმოჩნდნენ უკიდურეს გაჭირვებაში. მათ აკლდათ დახმარება, ძფარველობა. ისინი გადააქცნენ ქურდებად და ბანდიტებად. მათ შეურთდნენ მართლიერი ჯარისკაცები და დეზერტირები, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, რომელთაც სხვადასხვა სახის პრობლემა ჰქონდათ, ერთი სიტყვით, გაჩნდა მთელი ბანდა. ადამიანები, რომლებიც საზოგადოებამ გარიყა. ადამიანები-მარგინალები. მათ საკუთარი კანონები შექმნეს. ყავდათ მეთაური და ჰქონდათ ენა, რომელზეც ისინი ერთმანეთში საუბრობდნენ.

შეიქმნა ორგანიზაცია-გალანტერული საქონლით მოვაჭრეთა კორპორაცია - ე.წ. ფრანკმასონები, რომლებიც ყველგან ყველას უწევდნენ დახმარებასა და პროტექციას. მათ ჰქონდათ საიდუმლო ენა. ბევრი მათგანი ქურდობას მისდევდა. მათ რიცხვს განეკუთნებოდა ფრანსუა ვიონი ცნობილი პოეტი - ქურდი. ვაჭართა კორპორაციაში გარკვეული იერარქია არსებობდა. ამავე კორპორაციაში

გაერთიანებულნი იყვნენ მეცნიერები, მღვდლები, მასწავლებლები. მათი მოვალეობა იყო შეექმნათ და გარდაექმნათ საიდუმლო ენა - ფარგონი მოთხოვნებისა და მიხედვით. შეეცვალათ ახლით ისეთი ტერმინები, რომლებიც საიდუმლო ხასიათს კარგავდნენ და ესწავლებინათ ისინი ორგანიზაციის ახალი წევრებისათვის. ისინი ძარცვავდნენ ყველას. არავის არ ინდობდნენ. მათხოვრები და მოხეტიალენი ცხოვრობდნენ ე.წ. დიდი კეისარის ავტორიტეტის ქვეშ, „კურ დე მირაკლში“. მათ თავიანთი უბანი ჰქონდათ, სადაც ვერცერთი მეფის ჯარისკაცი ცხვირსაც ვერ ყოფდა.

ეკლესია მათთვის ინტერესებისათვის იყენებდა, ისინი მისი გამდიდრების წყარო იყვნენ. „კურ დე მირაკლის“ წევრები მშვენივრად ასრულებდნენ ხეობების როლს, რომლებიც ინკურნებოდნენ ეკლესიის მესვეურთა ნება-სურვილით.

აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ასევე ბოშებისა და ეგვიპტელების სახელწოდებით ცნობილი მომთაბარე ტომები, რომლებიც საფრანგეთში მათხოვართა საქმის ჩამოყალიბების პროცესში გაჩნდნენ. ბოშებს სამშობლო ინდოეთია. ფრანგი მეცნიერი ბატაიარი ამბობს რომ, ისინი დასახლდნენ უხსოვარი დროიდან აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და მცირე აზიაში.

ცნობილი ფაქტია, რომ ყველა ბოშა, რომლებიც 12 ჯგუფად იყოფიან, წარმოშობით საბერძნეთიდან არიან. ამას მოწმობს, მათი ლექსიკა, რომელიც შეიცავს ბერძნულ ელემენტებს. იმათ ენაში, ვინც სლავური ქვეყნებიდან და რუმინეთიდან წავიდა მიგრაციაში, შემორჩენილია იმ მხარეთა სიტყვები, საიდანაც ისინი მიგრაციაში წავიდნენ.

მათი პროფესია იყო მხოლოდ ფონგლიორობა, სიმღერა, მკითხაობა, ცეკვა. ცხოვრობდნენ მხოლოდ ნადავლით, ყველგან შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. XVII საუკუნეში ისინი განდევნეს საფრანგეთიდან. საკუთარ თავს ისინი ბოშებს, რომანიშელს უწოდებდნენ.

დღეს ბოშები ცხოვრობენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით ქვედა დუნაის რეგიონში. ბოშების საფრანგეთში ჩასვლა დაემთხვა მათხოვართა საძმოს ჩამოყალიბებას. ისინი შეკრიბნენ ამ უკანასკნელთა ვინაიდან ერთნაირ ცხოვრებასა და პროფესიის მისდევდნენ.

ბოშები ლაპარაკობდნენ ფარგონზე, რომელსაც „რომანი“ ერქვა. ეს ენა დიდ ანალოგიას ავლენს შიშაღობის სამხრეთის დიალექტებთან. ამ ენაში შერეული იყო სიტყვები იმ ხალხების ენებიდან, რომლებთანაც უწყვეტად ყოფნა.

სიტყვა „ფარგონი“ ძველია ენაში. მარი დე ფრანსმა იგი გამოიყენა ერთ-ერთ იტალიურ XIII საუკუნეში. იგი ნიშნავდა გაუგებარ ენას. ლიტრეს ლექსიკონში მისი ეტიმოლოგიის შესახებ ვ თვალსაზრისია გამოთქმული:

1. რომანის ენის ფუძე garg - gargouiller, gargoter (პირის ფუნქცია, როგორც ბგერის წერმოთქმის ინსტრუმენტი);

2. სკანდინავიურ ენაში jarg ნიშნავს „ლაყობობას“;

3. le jarg - ბატი (მამრი) - „ბატი ყიყინებს“ - jargonne

- გამოხატავს ამ ფრინველის ყვირილს.

ფრანგი ისტორიკოსი ამბროზ პარე წერდა: „სწორედ მარტივი ასიმილაციით შეუღწეველი მეტყველება, გამოყენებული ზოგიერთი ბოროტმოქმედის მიერ, შეფასებული იქნა ფარგონად“. (2,3 2,3) ენამ შეინარჩუნა ასეთი ანდაზა: „გაიგონო ბატების სისინი, ნიშნავს გესმოდეს ფარგონი“.

ფარგონი სწრაფად გამდიდრდა და დაიმკვიდრა თავისი ადგილი ლიტერატურაში. XV ს-ის II ნახევრის დასაწყისში, ფრანსუა ვიონმა, პოეტმა, რომელიც ასევე ცნობილი ბოროტმოქმედი იყო, შექმნა თავისი 2 ანდერძი და II ბალადა ფარგონის ენაზე. XVI საუკუნე ფარგონისათვის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი გახდა. 1634 წელს გაჩნდა პატარა წიგნი, რომელსაც ახლდა არგოს ლექსიკონი. იგი განსხვავდებოდა XVI საუკუნის ფარგონისგან. ეს იყო „ფორმაშეცვლილი არგოს ფარგონი“, რომელსაც მარტივად „არგოს“ უწოდებდნენ, მას, ბლესკენის ენასაც ეძახდნენ. ამ

წიგნის გამოყენებამ გარკვეული პრობლემა შეუქმნა არგოტულ ენაზე მოსაუბრე საძმოს, რომელიც თავს ვერ გრძნობდა უსაფრთხოდ.

არგო, რომელსაც XVI ს.-ს ბოლომდე გულმოდგინედ იცავდნენ მათხოვრები, სწრაფად გაურცვლდა ხალხში. ალბათ, ლექსიკონის გამოყენების გამო. წიგნის ავტორი კი წერს, რომ, არ არსებობს უბრალო დიასახლისიც კი, ვინც არ ლაპარაკობდეს არგოტზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. R.Guiraud - Le jargon de Villon ou le gai savoir de la Coquille Paris, 1968.
2. M. Perqnier - Le mot - Paris, 1986.
3. J.La Rue - Dictionnaire d'argot et des principales locutions populaires (1894) Flammarion, 1986.
4. L.Larchey - Dictionnaire historique d'argot → 1982, Cyrille Godefroy.